# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 128

„3" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილსა და ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის და ორი ჩიხისთვის ვლადიმერ დავითაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილსა და ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს და ორ ჩიხს მიენიჭოს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული კაპრალის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსნის, ვლადიმერ დავითაშვილის, სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_492391.5114
Y_ 4615689.0499
გოარამზე დავითაშვილის ქუჩა
X_492285.6718
Y_ 4615551.6681
II ჩიხი
X_492318.009
Y_ 4615525.9732
X_492277.4708
Y_ 4615490.3091
I ჩიხი
X_492380.4279
Y_ 4615493.1425
X_492254.001
Y_ 4615436.3996
X_492275.9554
Y_ 4615439.205
I შესახვევი
X_492350.8807
Y_ 4615441.1912